

სუფილულიუმა I-ის წყაროები

წყაროები:

- სუფილულიუმას საბეჭდავის თიხის ანაბეჭდი; სუფილულიუმა იხსენიება თუთხალია III-ს ქედ;
- საბეჭდავის თიხის ანაბეჭდები; სუფილულიუმა იხსენიება ცალკე და ბაბილონელ მეუღლე ხინთისთან ერთად;
- (CTH 42) KBo 5.3 + KBo 19.44 სუფილულიუმას ხელშეკრულება ხუკანასთან და ხაიასას ხალხთან;
- (CTH 50) KUB 19.27 ხელშეკრულება ქარგამიშის მეფე შარი-ქუშუხთან;
- (CTH 51) KBo 1.1. + KBo 28.111-114 და მისი ასლი KBo 1.2, KUB 3.1 + (აქად.), KUB 21.18 (+) KUB 26.34 (ხეთ.) სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება მითანის მეფე შათივაზასთან;
- (CTH 52) KBo 1.3 (+) KUB 3.17 (აქად.) ; HT 21+KUB 8.80+KUB 23.50+219/w + 1472/u (ხეთ.) მითანის მეფე შათივაზას ხელშეკრულება სუფილულიუმა I-თან;
- (CTH 46-48) RS 17.227 და ასლი (აქად.) RS 11.772 + (უგარიით.) – ხელშეკრულება უგარიითის მეფე ნიქმადუ II-სთან;
- (CTH 53), KBo 1.4 + ასლი KUB 3.2, KBo 1.16, KUB 3.3, KBo 28.98 (აქად.) სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება ნუხასის მეფე თეთესთან;
- (CTH 49) KUB 3.7 +, KUB 3.19 (+) KUB 48.71, KBo 28.118, 140, Bo 9200, 9201 (აქად.); KBo 10.13 (+) 12 (ხეთ.) სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება ამურუს მეფე აზირუსთან;
- (CTH 45) RS 17.132 (აქად.) სუფილულიუმა I-ის წერილი უგარიითის მეფე ნიქმადუ II-ს;
- (CTH 153) EA 41 (აქად.) წერილი ეგვიპტის ფარაონს;
- (CTH 154) KUB 19.20 + KBo 12.23 (ხეთ.) წერილი ეგვიპტის ფარაონს;
- (CTH 44) KUB 19.25, 26 სუფილულიუმა I-ის ბრძანებულება ქიცუვათანას ქვეყანაში თელიფინუს ქურუმობის შესახებ;
- ჯვრის ფორმის საბეჭდავი, იხსენიება სუფილულიუმა I;
- (CTH 58) KBo 12.33 არნუვანდა II-ს ცნობები მამის, სუფილულიუმა I-ის საქმიანობის შესახებ;
- (CTH 40) მურსილი II-ს მიერ შედგენილი „სუფილულიუმა I-ის საქმენი“;
- (CTH 61) მურსილი II-ს ანალები;
- (CTH 378) KUB 14.14+, ასლი: KUB 23.3; KUB 14.12; KUB 14.13 + KUB 23.124; (CTH 379) KUB 31.121 (+) 121° (+) KUB 48.111 მურსილი II-ს ლოცვის ტექსტები, იხსენიება სუფილულიუმა I;
- (CTH 85) KUB 21.16, KUB 21.24 ცნობა სუფილულიუმა I-სა და მურსილი II-ს შესახებ;
- (CTH 92) KBo 1.8+ ხათუსილი III-ს ხელშეკრულება ამურუს მეფე ბენტესინასთან, იხსენიება სუფილულიუმა I;
- (CTH 187) ხეთი მეფის წერილი ასურეთის მეფე სალმანასარ I-ს; იხსენიება სუფილულიუმა I-ის გამარჯვებანი.

თარგმანი:

1 ფირფიტა ფრაგმენტი 1

„ასე ამბობს ჩემი მზე, მურსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, გმი[რი, სუფილულიუმას ვაჟი, მეფისა], ხათის ქვეყნისა, გმი[რისა. თუთხალიას შვილიშვილი], ხათის ქვეყნის მე[ფისა, გმირისა]: [როდესაც თუთხალია], ბაბუაჩემი [...] შორს [...]

ფრაგმენტი 2

(დასაწყისი დაკარგულია) ფარა[- ...]-ილი, თელიფინუ, [...] (ქალი) ხარაფშითე[...]-ში [...] გააკეთა. [...] ხაიასას ქვეყანა [...] თუთხალიას, ბაბუა[ჩემს ... თუთხა]ლიამ თავად [...].

მაგრამ [შემდგომ, ქანთუცი[ლის, თუთხალიას ვაჟის (?)] დროს, [...] იგი, და კვლავ [...] იგი. შემდგომ [...]. მაგრამ ისე მოხდა, რომ იგი [...]-ს დროს [...] და იგი კვლავ [...]

ფრაგმენტი 3

შემდგომ [...] კვლავ [...] ქანთუცი[ლი ...] დაიპყრო. ლაშქარი [...]. მაგრამ შემდეგ მან კვლავ გასწია [...] და (ქალაქი) არცია [მან...] და ქ. არციას საგანძური, [დეპორტირებული მოსახლეობა], მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რომელიც მტერს ჰყავდა [...]. ქანთუცილიმ კვლავ [...და] მტრის ლაშქარი დიდი რაოდენობით დახოცა.

ხოლო [დეპორტირებული მოსახლეობა [...] მას[თან] ერთად, [...] არციას ქვეყანა ...

ფრაგმენტი 4

ბოლოს [მან] აღარ დააყოვნა [...] და უკან დაბრუნდა [...]. და [...], რომელიც თუთუს [...], რადგან თუთუმი უყურადღებოდ დატოვა [...], ბაბუაჩემმა [...], და (ქალაქი) სალაფა ცეცხლში ... [...დაწვა. როდესაც] ბაბუაჩემმა ცეცხლში წაუკიდა ქალაქს, [...], რადგანაც ქალაქი მის [...-ს] ეკუთვნოდა (?) და ამის გამო იგი [...] მას, ბაბუაჩემმა [...] ჩასაქრობად (იგი) მოვიდა და ცეცხლი (?) ჩააქრო. [ხოლო] თუ[თუ ...]. მაშინ ბაბუაჩემმა [უთხრა ...-ს: „...“] გაავაზანე! და [მან გაავაზანა] იგი. [...] მსახურები [...], რადგან [...]

ფრაგმენტი 5

...[... ქალაქის] ჯარი ...] ...თავალი ... თუთუ[სთან] ერთად [იყო] რვა კაცი, [...მათთან] ერთად (ქალაქ) თა[...-ში?] თუთუს [...].

[...მასთან] ერთად (ქალაქ) ხათამიში ...] თუთუსთან [ერთად იყო] რვა კაცი [...(ქალაქ)] დუ[...-ში] ...[...]

ფრაგმენტი 6

(დასაწყისი მომტვრეულია) და ღვთაებებმა [...]. და ლაშქარი [...]. და [...], რომელიც მას [...] ჯარი ...[...], ჯარი წინ [...]. და იგი [...] თუთუს [...]

ფრაგმენტი 7

...

ფრაგმენტი 8

(დასაწყისი მომტვრეულია) [...] ამ მტერმა... და] ბაბუაჩემი[...]–საგან პირი იქცია და [გასწია ...]-ში. ხოლო როდესაც იგი მთა [ნანის] მიადგა, მთა ნა[ნნიზე ...] ხოლო მამაჩემი [...] წინ და ქალაქის ციხიონმა [...]–ს [და] ვინც ადგა (?) საბრძოლველად ..., მან შეუტია [მას] და მოსახლეობა [...] მთა ნანნიზე [...] წინააღმდეგ. ხოლო როდესაც ბაბუაჩემი [ქვეყნის] მონესრიგებას შეუდგა, [...], ცითარას ვაჟმა [მოახსენა მას] (ქალაქ) ხა[...]: „ხალფამუვა, რომელიც [...] ქვეყანაში, [...] (სვეტის დასასრული, ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

მეორე და მესამე ფირფიტა

ფრაგმენტი 9

...

ფრაგმენტი 10

...ხოლო როდესაც მამაჩემმა [გზა განაგრძო], მას [არ] შეხვედრია ხაიასელი მტერი [...-ს] ქვეყანაში. ასე რომ, მამაჩემმა [ხაიასელი მტრის] შემდეგ გზა განაგრძო, მაგრამ კვლავ არ შეხვედრია მას. (ხოლო) ქასქელ მტერს, მთელ მათ ლაშქარს იგი [ქვეყანაში შეხვდა]. და ღვთაებები მასთან იყვნენ: [ქ. არინას მზის ქალღვთაება], ხათის ამინდი ღვთაება, ლაშქრის ტაროსის ღვთაება, ბრძოლის ველის ღვთაება იშთარი (ისე, რომ) მტერი დიდი რაოდენობით დაიხოცა. მან მრავალი ტყვედყოფილი [წამოიყვანა] და სამუხაში დააბრუნა.

[მამაჩემი კვლავ გაემართა [სამუხადან]. და [ქვეყანაში (?)], რომელიც მტრის მიერ განადგურებული იყო, იქ დახვდა მტრის მთელი ჯარი. [...-ც კი] და მწყემსები [მოვიდნენ] საშველად. [მამაჩემმა] ხაფანგი დაუგო [მათ] და [განადგურა] ქასქები. დამხმარენი, რომლებიც მოვიდნენ, [ისინიც განადგურა], (ისე, რომ) ქასქების ლაშქარი და მამ[ველი] ლაშქარი [დიდი რაოდენობით დაიხოცა]. ტყვეებს, რომლებიც [მან ხელთ იგდო, თვლა არ ჰქონდათ]. [...] ზემო ქვეყანა [...].

ფრაგმენტი 11

[„... წავიდეს! [...] იქ [...] ..., რადგან [...] მოკვდება, მოკალი იგი [... !]” –ასე მოახსენა მამაჩემმა ბაბუაჩემს: „ჩემო მბრძანებლო! გამგზავნე მე ამ [ბრძოლა]ში! დაე, რაც ჩემს [გულშია], ღვთაებებმა შეასრულონ!”

ასე გაგზავნა ბაბუაჩემმა მამაჩემი ქ. სამუხაში. [ხოლო როდესაც მან (მამაჩემმა)] ხათის ქვეყანას მიაღწია, მას შემდეგ, რაც [ქ. ქუნცი] მტერმა გადაწვა, მამაჩემმა დაიწყო ...

[ხოლო მამაჩემს/ბაბუაჩემს] მოუტანეს [სიტყვა]: [„...]. მოიყვანეს ქასქები (ქალაქ) [ვაშხა]ნიაში. [...] ვაშხანია [...], დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ...-ის სასახლისა [...] მთა ფივა[სი] (?) [...] ხათუსადან [...]. და ქასქები [...

ფრაგმენტი 12

...[...] უკან [...] მამაჩემს [...(ქალაქ ნე(?))ნისთანქუვა [...] ...[...] ...[...] ...-თან ერთად. და მან [...] იგი . [ხოლო როდესაც მამაჩემი/ბაბუაჩემი დაბრუნდა] ხათის ქვეყანაში, მათ მას [სიტყვა] მოახსენეს: „ქასქელი მტერი იერიშზე გადმოვიდა [...]”. (სვეტის დასასრული; ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

ფრაგმენტი 13

[როდესაც მამაჩემმა] ეს გაიგონა, ჩაფიქრდა [...] მან ხაფანგი დაუგო [...] წინ, ხოლო მტერი, რომელიც(?) მოვიდა [...]–ში, მან [დაამარცხა (?)] ისინი. [ქასქებმა (?)] ტყვეთაგან შეკრიბეს ცხრა მებრძოლი რაზმი. [.. რომლებიც ...] ჰყავდა, მან [...] მას და ყველა [წავიდა] თავის საკუთარ [ქალაქში]. ხოლო როდესაც მამაჩემი [(თავის) ლაშქართან ერთად] მოვიდა, ქასქელ მტერს შეეშინდა და იარაღი ძირს დასწია.

ხოლო ამის [შემდეგ] მამაჩემმა მთელს ქვეყანაში ააშენა სიმაგრენი და იმ ქალაქებში, რომელიც მტერმა დააცარიელა, მოსახლეობა დააბრუნა, ყველა თავის ქალაქში, და ისინი კვლავ დასახლდნენ ქალაქებში.

ხოლო ბაბუაჩემი ისევ კარგად შეიქნა, ზემო ქვეყნიდან ქვემოთ ჩამოვიდა. და როდესაც მასა და ქამალას ქვეყნების ლაშქარი ხულანას? მდინარის ქვეყანას უტევდა, ბაბუაჩემმა მათთან საბრძოლველად გასწია. ხოლო მამაჩემი ბაბუაჩემს ამ ბრძოლაში თან ახლდა. ღვთაებები შველოდენ ბაბუაჩემს, იგი წავიდა (და) განადგურა მასა და ქამალას ქვეყნები. რადგან ბაბუაჩემი ქამალას ქვეყანაში [იყო], (და) მამაჩემიც თან ახლდა მას, ქასქელმა მტერმა კვლავ ჩასცა ზურგში მახვილი და მტერმა იავარ–ჰყო ქალაქები, რომლებიც მამაჩემმა ადრე გაამაგრა.

ხოლო როდესაც ბაბუაჩემი უკან [დაბრუნდა] მასას ქვეყნიდან, ქათხარიასა და ქაზაფას ქვეყნებიდან, (ქალაქი ხათუსა) ინგრეოდა და იძარცვებოდა ქასქების მიერ: (გაჰქონდათ) საგანძური, ვერცხლი, ოქრო, ბრინჯაოს ნივთები და ყველაფერი. ბაბუაჩემმა იერიში მიიტანა ამ ქალაქებზე. [მაშინ] ღვთაებები დაეხმარნენ ბაბუაჩემს (და) მან განადგურა ქათხარია და ქაზაფა (ქალაქები) და გადაწვა ისინი(და) მთელი ქასქელი ლაშქარი, რომელიც მივიდა ქ. ქათხარიას საშველად. ღვთაებების შემწეობით ბაბუაჩემმა დაამარცხა ქასქელი ლაშქარი დამრავალი მათგანი[...] დაილუპა.

ხოლო როდესაც ბაბუაჩემი უკან დაბრუნდა, მან ხაიასას ქვეყნისაკენ გასწია. და მამაჩემი კვლავ მას ახლდა. და როდესაც ბაბუაჩემმა მიაღწია ხაიასას ქვეყანას, [მოვიდა] ქარანი (ლანი?), ხაიასას მეფე (შეეგება ქალაქ) ქუმახასთან [...

მესამე {ფირფიტა}, (ტექსტი) დაუსრულებულია, სუფილულიუმას საქმენი, დიდი მეფისა, გამირისა.
ფრაგმენტი 14

[... ქასქებს ხა]ფანგი დაუგო. [...ფია]ფილი [...] მათ მოკლეს. ... [... ფია]ფილის ...[...]] არ ჩაუდენია ცუდი. ხოლო [როდესაც] ბაბუაჩემმა შეიტყო [...] ფია[ფილი]. როდესაც ბაბუაჩემი ისევ [ავა]დ იყო, ბაბუაჩემმა ასე (თქვა): „[ვინ] წავა?“ ასე (მიუგო) მამაჩემმა: „მე წავალ!“ [ასე] გაუშვა ბაბუაჩემმა მამაჩემი (საბრძოლველად).

როდესაც მამაჩემმა მიაღწია ქვეყანას, (ნახა, რომ) ხათის ქვეყანაში შემოსული ქასქელი მტერი, ქვეყანას ავად მოექცა. ქასქელი მტერი, რომელსაც მამაჩემი ქვეყანაში შეხვდა, 12 ლაშქრისგან შედგებოდა. ღვთაებებმა უშველეს მამაჩემს, (ისე, რომ) მან შეაჩერა ქასქელი მტრის ლაშქარი, სადაც კი მისწვდა მათ. მიტაცებული ნადავლი წაართვა და ხეთებს უკან დაუბრუნდა. ხოლო ბაბუაჩემი კვლავ გამოჯანმრთელდა და ზემო ქვეყნიდან ქვემოთ ჩამოვიდა. მან მოაღწია (ქალაქ) ცითხარას, იგი შეხვდა მთ[ელ] ჯარს (ქალაქისას) [...] ცითხარაში. და ღვთაებები შეენიერნ ბაბუაჩემს, (ისე, რომ) მან დაამარცხა [მტერი]. (ქალაქის) ჯარმა [...] ქვეყანა [...] მტერი [...] ჯარი [...] (ქალაქი) [...] ბაბუაჩემმა [...] გაიგონა ..: „...“, მაგრამ მას, რომელსაც [...] რაღაც ...[...] ქასქელი ...] არ[ცაველ] მტერს [...] ...[...].

[ასე (მიუგო) მამაჩემმა] ბაბუაჩემს: „ჩემო მბრძანებელო! (?) არცაველი [მტრის] წინააღმდეგ [გამიშვი]!“ [ასე გააგზავნა ბაბუაჩემმა მამაჩემი (?) არცაველი მტრის წინააღმდეგ. და როდესაც] მამაჩემი [მიდიოდა(!)], პირველ [დღეს (?) იგი მიაღწა(?) (ქალაქ)...]-ასხას. [ღვთაებები] დაეხმარენ [მამაჩემს: ქ. არინას მზის ქალღვთაება, ხათის] ტაროსის ღვთაება, ლაშქ[რის] ტაროსის ღვთაება და ბრძოლის ველის ღვთაება იშთარი, (ისე, რომ) მამაჩემმა დაამარცხა არცაველი [მტერი...] და მტრის ლაშქარი [მოისრა] დიდი [რაოდენობით ...]. არცაველი მტერი კი მამაჩემმა [...], და მან დაამარცხა იგი. [...] მაგრამ შემდეგ კვლავ სამ ლაშქარს შეხვდა [...-ში] და დაამარცხა ისინი. [...] მაგრამ შემდეგ კვლავ შეხვდა [... ლაშქარს ... -ში] და მამაჩემმა [დაამარცხა ისინი, (ისე, რომ) მტრის] [ლაშქარიდან] მრავალი დაიხოცა. [...] მთელი მოსახლეობა [...]] მას დული, [...(?)] და ნახირუვა [...].

ფრაგმენტი 15

[... მთ]ა ალინაზე (?) [...] და იგი (თავის) საგანძურთან [...] თავიდან ააგეს]. [ხოლო როდესაც (?) მან] მიაღწია [...-ს], მათ მოუტანეს [სიტყვა] მამაჩემს [...]: „მტერი, რომელმაც გასწია (ქალაქ) ანისასკენ, ესლა (ქალაქი) [...] -ისას ქვემოთაა“. (ასე რომ) მამაჩემმა გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. და ღვთაებანი დაეხმარენ მამაჩემს: ქ. არინას მზის ქალღვთაება, ხათის ქვეყნის ტაროსის ღვთაება, ლაშქრის ტაროსის ღვთაება და ბრძოლის ველის ქალღვთაება, (ისე, რომ) მან დაამარცხა ეს ლაშქარი და დიდძალი მტრის ლაშქარი დაიღუპა.

ამის შემდეგ მას შემოხვდა ექვსი ლაშქარი (ქალაქ) ხუვანა[...]-ში და მან (მამაჩემმა) დაამარცხა ისინიც, (ისე, რომ) მტრის ლაშქარი დიდი რაოდენობით დაიხოცა. ხოლო შემდეგ კიდევ შვიდ ლაშქარს შეხვდა (ქალაქ) ნი[...]-ში და საფარანდაში და დაამარცხა ისინი, (ისე, რომ) მტრის ჯარი დიდი რაოდენობით დაიღუპა. ამის გარდა არცაველი მტერი იყო თუფაციას ქვეყნის გარეთ ამუნას მთაზე თავდასასხმელად (ჩასაფრებული?), მაგრამ რამდენადაც მოკავშირე (?) ანა (?) შეელოდა (?), მან შეუტია ამუნას მთას, თუფაციას ქვეყანას და [...] ტბას და დაიპყრო. მათ შორის დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. ხოლო როდესაც მან მიაღწია (ქალაქ) თუვანუვას, იგი თუვანუვას ქვემოთ გაჩერდა და ჩაერთო ქ. თუვანუვასათვის ბრძოლაში. მაგრამ მამაჩემმა დაამარცხა მტერი (ქალაქ) [...], ნახურიასა და საფარანდაში. შემდეგ იგი [გაე]მართა უკან (ქალაქ) თივანცანაში ლამის გასათევად და მამაჩემმა დაიძინა ქ. თივანცანაში.

დილით მამაჩემი გაემგზავრა თივანცანადან ქვეყანაში, (რადგან) ზურგს მას ეტლოსნები და ექვსი ცხენოსანი ლაშქარი უმაგრებდა. როდესაც მამაჩემი გაეშურა, მტერს ერთბაშად გადააწყდა(?) და მამაჩემი მას შეებრძოლა. შემდგომ ღვთაებები დაეხმარენ მამაჩემს: ქ. არინას მზის ქალღვთაება, ლაშქრის ტაროსის ღვთაება, [ბრძოლის ველის ქალღმერთი იშთარი], (ისე, რომ) მან (მამაჩემმა) დაამარცხა მტერი. [და] რადგანაც [...] იყო [მე]ტად(?), მან წაასხა მათ მიერ მიტაცებული დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. [როდესაც] მტერმა წაასხა განძეულობა (?), იგი გაიქცა და მთა დაიკავა. [და ... (?)] მათ დაუშინეს ისრე[ბი]. როდესაც მამაჩემმა იხილა იერიში, მან ზემოთ ქ. თუვანუვასკენ გასწია [და] შეკრა[...].

[რადგან] მამაჩემი ზემოთ ქ. თუვანუვასში გახლდათ, მისი ლაშქარი და ეტლები [იქ] მივიდნენ. ...

[...ლაშქარი და ეტლები ...] (ქალაქ) ხალი[...]-ს ქვემოთ, უთხრეს[ს] სიტყვა ხათუსაში: „...“ ლაშქარი და ეტლები [...] ... იყო მამაჩემთან ერთად(?) [...] წავიდნენ და მამაჩემი [...]

ფირფიტის დასასრული. კოლოფონი: მეორე ფირფიტა, (ტექსტი) დაუსრულებელია, სუ[ფილულიუმი]ას [საქ]მენისა ... [ხელი ...]-სუ-ციითი-სა(?).

ფრაგმენტი 16

[...]-ის მეფე, ლაშქარი [...], ახალგაზრდობა. [...] ჩვენ [...] მეფე [...] -ისა. და [...] მდინარე [...] წავი[და...]. და [...] შეხვდა [...] წინააღმდეგ ...]. და [...] -ს. და [...]

ფრაგმენტი 17

... მამაჩემის წინააღმდეგ [...]. შემდეგ ღვთაებები დაეხმარენ მას, [(ისე, რომ) მან დაამარცხა მტერი, და მტერი] დაიხოცა [დიდი რაოდენობით]. მაშველებმა(?) [...] თაქური [და] ხიმუილი [...].

და როდესაც მან მოსრა მტერი, მან დაამარცხა [...] და იგი კვლავ [ხეთის ქვეყნად] აქცია. შემდეგ [იგი წავიდა] (ქალაქ) ანცი[ლიაში ...]. და როდესაც ქალაქი ანცი[ლია ...]. ხოლო მამაჩემი აჩქარ[და ...]. და როდესაც მამაჩემმა ..., მათ მოუტანეს სიტყვა მამაჩემს: „მტერმა, რომელიც [...] იყო, ახლა [შეუტია(?)] (ქალაქ) ...-სა] და ქ. ფარგალას. „მაგრამ ამასთან ერთად [მან შეუტია(?)] (ქალაქებს) [...], ხათინასა [და] ხა[...-ს] და ხელთ იგდო [მათი] განძეულობა, დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და [...]“ როდესაც მამაჩემმა შეიტყო (ეს), მან... და საფანგი და[აუ]გო მტერს. [და ღვთაებები] დაეხმარენ [მამაჩემს, (ისე, რომ) მან დაამარცხა] მტერი და დიდძალი მტრის ლაშქარი დაიხოცა]. ხოლო

დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონელი და ქონება, რომელიც [მტერმა მიიტაცა], მან წაართვა და დაუბრუნა ხეთებს. შემდეგ [...] (განაგრძო) გზა [...].

(ფირფიტის დასასრული, ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

ფრაგმენტი 18

...[ქალაქების] ფეთასა და [მახუირასას] მზვერავი(?) ლაშქარი, [რომლებმაც] წაიღეს [...]... არცა[ვას] ქვეყანაში, ისინი მან (ანცაფახადუმ?) უკან წამოიყვანა [და] დაასახლა [კვლავ (?)] თავიანთ ქვეყნებში.

ხოლო შემდგომ, რადგან [მამაჩემი(?)] ებრძოდა [...] -ს, (ქალაქები) მახუირა[სა, ...] და ფეთა აღუდგენ[ენ]. და იგი წავიდა [...] არცა[ვას] ქვეყანაში ანცაფახადუმ[დუს...] შესახვედრად. და მათთვის (?) ანცა[ფახადუმ, ...] ალალთალი, ცაფალიმ [...] მართავდა მას. [ხოლო] მამაჩემმა [მისწერა] [ეს ანცაფახადუს]: „ეს (არის) ჩემი ნივთები ..., ხოლო შენ მე წამართვი ისინი! და [...] ...[...] ... [...] ბრძოლისათვის [...]“ და [მან ...] მას [...: „...“] ჩემი ნივთები ზემოთ ქა[ლაქში ...“. და ისე მოხდა, (რომ) მამაჩემმა [...] [ას] თქვა: „წადი [... ის ქვეყანაში და] მომეცი [მე ჩემი ქონება უკან!] მაგრამ თუ [მინც არ] მოიტან ჩემს ნივთებს? მაშინ იქნები ჩემი მტერი და იქნები . . [...]!“ [...] მამაჩემმა [...] ქ. არცა[ვას] ხალხს [...] და მან [...] არ მოიტანა არაფერი.

[ხოლო] ამის შემდომ მამაჩემმა გააგზავნა ხიმუილი, სარდალი [და მისცა მას(?) ფეხოსანი და ეტლო]სანი ლაშქარი [ხათის ქვეყნისა ერთიანად და წავიდა] არცა[ვას] ქვეყანაში. [როდესაც] იგი [მივი]და არცა[ვას] [ქვეყანაში], მან [...] მირას ქვეყანა [...]

ფრაგმენტი 19

[...] დაამარცხა [...]. ხოლო (ქალაქი) მაუირასი [...] და ქ. არცა[ვას] მთელი მოსახლეობას ეჭირა [მთა თივათასა, მაგრამ ... (ხეთმა სარდალმა)] დაიკავა მთა ქურივანდა ბრძოლით და დაბრუნდა იქ და სამი გამაგრებული ბანაკი... მაგრამ მტერმა დაიპყრო [მთა თივათასა] ძალით. [...], ალანთალი [და] ცაფალი [იყვნენ ...] მთა თივათასას ქვემოთ(?). [...] იგი გარს შემოერტყა მას და [დაიპყრო(?)] იგი. [ხოლო] როდესაც [მან] დაიპყრო იგი, [ი] მოვიდა ფეხოსან და ეტლოსან ლაშქართან [ერთად და მან [...]

როდესამ მამაჩემმა ეს შეიტყო, [მან... და] დაიპყრო მთა. [და მან მისწერა მას: „მოდე, შემებრძოლე!“] [მაგრამ] ანცა[ფახადუ] არ [...] მოვიდა საბრძოლველად და იყო [...]. მთის ძირში და მან [...] უთხრა [...]

ფრაგმენტი 20

[...ეტ]ლები [...].

[როდესაც] მამაჩემმა გაიგონა [...], მან მისცა [ფეხოსანი და ეტლო]სანი ლაშქარი [მამალის] და [...]. და [მტერი(?) დაენია (?)] მამალის გზა[ზე] და [დაამარცხა] მისი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი (და) დეპორტირებული მოსახლეობა. ხოლო მამალი მარტო დაილუპა(?) ...]. ხოლო მამაჩემმა დატოვა (?) მთა თივა[თასა]. ხოლო როდესაც ცაფალი [და ...] აღარ [იყვნენ(?)], ალყაშემორტყმულნი წავიდნენ [...] (ქალაქ) ხაფალაში. [ხოლო] მამაჩემი [...], და ასე მის ეტლებს [...].

ფრაგმენტი 21

[...] ცუდი იყო. [...] მათ ცუდი რამ გადანყვიტეს. [...წავიდა თავისით მტრის შესახვედრად და [...] იგი მათ მტრის წინ. [...] ისინი [...] იერიშისთვის [...]. და მან საკუთარი [...] (მეტად ფრაგმენტულადაა) [...] მეფობა [...] ყველა [...] ჰქოდა [...]

ფრაგმენტი 22

[...], რომელიც [...] (ქალაქი) დუმა(ნა?) ...[...]- და (ქალაქ)დუმ(ნა)ში [...] დუმა, ქალაქი, [...].

ფრაგმენტი 23

ნახსენებია: [ისხუ]ფითა, არმათანა; მიმართვა:“მე არ წავალ!” [(ამდენი და ამდენი) რე]მა ცხენებისა; ხოლო რადგანაც ქვეყანა არმათანა მტრულად იყო განწყობილი [...] (სვეტის დასასრული, ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

ფრაგმენტი 24

[...თვი]თონ აჩქარ[და...] ლაშქარი [...] მოვიდა [...] მტერი [დაიხოცა] დიდი რაოდენობით. [...] (ქალაქ) არმათანას მთელი [...] მან დაიპყრო [...] და [...] იგი.

[... (ქვეყანა)] არმათანა [...] “ ...] მე წავალ!” ას[ე] (თქვა) ...: „...“ ლაშქართან ერთად [...] ქ. ხატისა, რომელიც [...] ჩვენ [...] არ [...]

ფრაგმენტი 25

[...] ლაშქარს [...ხალ]ხი ქ. ხულ[- ... წავიდა [...] უტევდა [...] რომელიც] მდიდარ ქა[ლაქში(?) ...ხა]თისა მან ხელთ იგდო და [...] მათი მამ(ები), დედ(ები) (და) მათი ძმები [...] თავის საკუთარ მამად დედად და [...], რომელიც [წავიდა] ზემოთ [...] (მან) წაასხა მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, [და] მიიყვანა [ისინი ...]. და ყველა აიყვანა [...]. მაგრამ ქალაქ ისუვას ხალხი იყო [...] და მათ, (ნივთები, რომლებიც) წაიღეს, მათ [...]. მაგრამ ხელმა დეპორტირებული მოსახლეობა მათ [..., ...] (მან) წაიღო. [...] ... (მან) და ატოვა [...] ... (მან) მოიტანა. [...] (იგი) იყო. ხოლო მამაჩემმა [...] შური იძია [...] წინააღმდეგ. [და] წავიდა ცუხაფას [ქვეყანაში] და [დანვა] იგი: [რაც ქალაქის] შემოგარენში იყო, [იგი] დანვა და ცუხაფას ქალაქის [ყველაფერი] გა[დან]ვა (აგრეთვე). ხოლო გამოძევებული მოსახლეობა წავიდა [...] (ქვეყანა!) ხაიასაში, [...] და მათ [...] ისინი მთა ლახადან.

[...], რომელიც [...] ისუვას ქვეყანაში [...]; ისინი ეკუთვნოდნენ ხათის ქვეყანას. [...] რალაც ვილაცას [...] ზამთარშიც კი (იგი) წავიდა [და] შეუტია [...] -სენის [ქვეყანას]. ხოლო დეპორტირებული მოსახლეობა, [მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ბრინჯაოს ნივთები], რომლებიც ჯარმა დატოვა [...] -ში, ის ბრინჯაოს ნივთები მან იქიდან მოიტანა. [...] (იგი) მოვიდა და ისუვას ქვეყანა [...] , რომელიც ისუვა[ში(?) ...] ეტლები [...]

ფრაგმენტი 26

ბრძოლიდან [...] და დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა [და წვრილფეხა საქონელი ...] უკან ლაშქარს [...], რომელიც ... [...] შემდეგ ხა[თის] ქვეყანაში [...] ცარიელი ბელეები [...] და მას [...] 370[+ ...].

ხოლო როდესაც [მამაჩემი ...], ამის შემდეგ მითანის მეფეს გაუგზავნა წერილი და [მისწერა] მას შემდეგი: „... მე მოვედი ადრე [...] (ქალაქი) ქარგამიში, ქა[ლაქს...] მე შევეუტიე, ხოლო მას [ასე მივწერე]: „მოდო! ვიბრძოლო!“ მაგრამ იგი არ მოვიდა [საბრძოლველად]. ასე რომ ეხლა [...] და ქვეყანა [...] ასე რომ მოდი და ვიბრძოლო!“ [...] მაგრამ იგი დარჩა [ქალაქი] [ვაშუქანიში], მან არ [მიპასუხა(?)] [...] და არ [მოვიდა] საბრძოლველად. [ასე რომ მამაჩემი წავიდა] იქ [მის შემდეგ. მოსავალი, რომელიც იყო [...], ...] ვაშუქანიში [...], იქ საერთოდ არ იყო წყალი [... ქალაქები, რომლებიც [... იყო] გაძარცვული (?) [...] გარშემო [...] ჩალით (?). და კვლავ [...] დასალევად [...] მამაჩემს [...]

ფრაგმენტი 27

ხორბალი [...]. ხოლო როდესაც [...] და (ქალაქი) ქინცა [...] დაინვა [...] ლაშქარი [...] და ბატონებმა ზემოთ [...] ნუხასის ქვეყანაში [ჩემს] ძმ[ას(?)] [...]. და ისინი, ორივენი, მოვიდნენ მამაჩემთან [...] და ისინი [დარჩნენ ...-ში] მამაჩემთან ერთად...

კოლოფონი: [საქმენი სუფილულიუმასი], დიდი მეფისა.

„მეშვიდე“ ფირფიტა

ფრაგმენტი 28

როდესაც იგი მთა ცუქუქიდან დაბრუნდა, ააგო ორი ციხე-სიმაგრე, ათხულისა და თუხუფურფუნა. და როდესაც იგი ქალაქებს აგებდა, მტერი ტრაბახობდა: „ქვემოთ აღმინას ქვეყანაში მას არასდროს არ (შემოვუშვებთ)!“ ხოლო როდესაც მან დაასრულა ქალაქების შენება, იგი წავიდა ქალაქ აღმინაში და ვერც ერთმა მტერმა ვერ შეჰბედა მას ბრძოლა.

ასე რომ იგი წავიდა და გადაწყვიტა (ქალაქ) აღმინას გამაგრება. უკანა ლაშქარში ჭირი გაჩნდა. მაშინ მამაჩემმა მთა ქუნთიაზე ბანაკი დასცა. ხიმუილი, სარდალი მდინარე სარიაზე გამაგრდა, ხოლო მთავარსარდალი ხანუთი, (ქალაქ) ფარფარასთან გამაგრდა. ხოლო შეიარაღებული რაზმი (კვლავ) იცავდა ქალაქ აღმინას. და ამის გამო ქასქების მთელი ქვეყანა მშვიდად იყო. ხეთი მოსახლეობის (ნაწილი) ცხოვრობდა ქასქების ქალაქების უკან (ისინი, ვინც) უკან დაბრუნდა ქალაქში.

ხოლო როდესაც ქასქებმა ნახეს, რომ ჯარში ჭირი გაჩნდა, მათ თავიანთ ქალაქებში დაბრუნებული მოსახლეობა კვლავ შეიპყრეს.

ზოგი მოკლეს, ზოგი კი ტყვედ აქციეს. შემდეგ მტერი ღამით მოვიდა და შემოეწყო. ისინი გაეშურენ ყველა გამაგრებული ბანაკისაკენ, რომლებიც სარდლებს ეპყრათ. რომელ გამაგრებულ ბანაკთანაც მივიდოდნენ საბრძოლველად, (იქ) მამაჩემის ღვთაებები შველოდნენ სარდლებს (ისე, რომ) მათ ყველანი დაამარცხეს და მტერი დიდი რაოდენობით დაიხოცა. და ვერავინ შებედა მამაჩემის გამაგრებულ ბანაკს. მამაჩემმა დაამარცხა მტერი და ქასქელ მტერს ეშინოდა მისი.

იმ დროს, როდესაც იგი ქ. აღმინას ამაგრებდა, მან ურავანი და ქუვათნა-ცითი, „დიდი მწყემსი“ წინ გააგზავნა ქასულას ქვეყანაში საიერიშოდ. და მამაჩემის ღვთაებები დაეხმარნენ მათ, (ისე, რომ) მათ დაიპყრეს მთელი ქასულას ქვეყანა და მამაჩემს მოუყვანეს მათი დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. წამოიყვანეს ათასი დეპორტირებული მოსახლეობა.

შემდეგ მამაჩემმა დაიპყრო თუმანას მთელი ქვეყანა და განაახლა იგი და კვლავ ხეთის ქვეყნის ნაწილად გახადა.

ამის შემდეგ იგი დაბრუნდა ხათუსაში გამოსაზამთრებლად. მაგრამ როდესაც წლის დღესასწაული იზეიმა, მან ისთახარას ქვეყნისაკენ გასწია. ქალაქი ისთახარა, ხეთის მიწა, ქასქელებს ეპყრათ. [მამაჩემმა] მტერი გააძევა იქიდან და ხელახლა ააშენა ქალაქები [...], მანაცია[ნა(?)], ქალიმუნა და ახლად გაამშვენა ისინი და ისინი კვლავ [ხეთის ქვეყნის] ნაწილად გახადა. ხოლო შემდეგ, როდესაც ახლად გაამშვენა [ისტახარას ქვეყანა], იგი ქ. ხათუსაში დაბრუნდა და გამოიზამთრა.

მტრის დიდი ლაშქარი მოვიდა და ღამით დაეცა მის ლაშქარს. მაშინ მამის ღვთაებანი დაეხმარნენ ჩემს ძმას, (ისე, რომ) მან დაამარცხა მტრის ჯარი და [გაანადგურა] ისინი. ხოლო როდესაც დაამარცხა მტრის ლაშქარი, [მტრის ქვეყანამ] იხილა იგი და შეეშინდა და არცაისა და ქარგამიშის ქვეყნებმა ზავი ითხოვეს მისგან და ქ. მურმურიგამაც (აგრეთვე) მასთან ზავი ითხოვა.

ქარგამიშის ქვეყანაში, თავად ქარგამიშმა, ერთადერთმა ქალაქმა არ ისურვა მასთან ზავი. ასე რომ ქურუმმა, ჩემმა ძმამ, ექვსასი კაცი და ეტლი და ლუფაქი, ათისთავი მურმურიგას ქვეყანაში დატოვა (რადგან თვითონ) ქურუმი ქალაქ ხათუსაში წამოვიდა მამაჩემის შესახვედრად. მაგრამ მამაჩემი (ქალაქ) უდაში იყო და დღესასწაულს მართავდა. ასე რომ, იგი მას იქ შეხვდა.

ხოლო როდესაც ხურიტებმა იხილეს, ქურუმი წასული იყო, ხურიტების ქვეყნის ლაშქარი და ეტლები მოვიდნენ და თავსუხლი, წარჩინებულიც, მათ შორის იყო და შემოერთყნენ ქალაქ მურმურიგას. და ისინი იყვნენ იქ მყოფ ხეთების ლაშქარსა და ეტლებზე უფრო მეტნი.

ქინცას ქვეყანაში, რომელიც მამაჩემმა დაიპყრო, ეგვიპტის ფეხოსანი ლაშქარი და ეტლები მოვიდა და შეუტის ქინცას ქვეყანას. მამაჩემს სიტყვა მოუტანეს: „ფეხოსან და ეტლოსან ლაშქარს, რომელიც ზემოთ ქალაქ მურმურიგაში არიან, ხურიტები შემოერთყნენ გარს!“ მაშინ მამაჩემმა შეაგროვა ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი და ხურიტების წინააღმდეგ გაემართა. ხოლო როდესაც მიაღწია თეგარამას ქვეყანას, თავისი ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი შეამონმა (ქალაქ) თალფაში. შემდეგ გაგზავნა თავისი ვაჟი არნუვანდა და ცითა, სარდალი, ქალაქ თეგარამადან ხურიტების ქვეყნისაკენ. ხოლო როდესაც არნუვანდა და ცითა მივიდნენ ქვეყანაში, [მტერი] მათ შეებრძოლა. მაშინ მამაჩემის ღვთაებები დაეხმარნენ მათ, [(ისე, რომ) მათ დაამარცხეს [მტერი]. მაგრამ მტერმა [...] და ჩამოვიდა ქალაქიდან [გასაქცევად(?)] [...] თეგარამას

ქვეყნის მთებში [...]. როდესაც [მამაჩემმა გაი]გო: „მალე ის [ნავა და] გაიქცევა ქალაქიდან ქვემოთ!“- როდესაც, რატომღაც, მამაჩემი ქვეყანაში ქვემოთ ჩამოვიდა, მას ხურის ქვეყნის მტერი არ შეხვედრია! ასე რომ იგი ქვემოთ ჩავიდა (ქალაქ) ქარგამიში და გარს შემოერტყა მას და [...] აქეთ [მხრიდან] და იქით მხრიდან, (ისე, რომ) იგი [გარს] შემოერტყა მას [სრულად]. მდინარე [...] ადგილის ქვემოთ [...], გემები ...[...]

(მან) ხელთ იგდო, შემდეგ [...].
...რადგან მამაჩემი ქვემოთ იყო წასული ქარგამიში ქვეყანაში, მან წინ გაგზავნა ლუფაქი და თარხუნთა(?) - ცალმა ამქას ქვეყანაში. ასე რომ, მათ გასწიეს ქალაქ ამქას შესატყვად და უკან წამოასხეს დეპორტირებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი მამაჩემის წინ. მაგრამ როდესაც ეგვიპტელებმა ქალაქ ამქას იერიშის ამბავი შეიტყვეს, მათ შეეშინდათ. მას შემდეგ, რაც მათი ბატონი ნიბხურურია (ტუტანხამონი) გარდაიცვალა, მაშინ ეგვიპტის დედოფალმა, რომელიც იყო დახამუნცუ(?), მამაჩემს შიკრიკი გაუგზავნა და ასე მისწერა: „ჩემი ქმარი გარდაიცვალა. ვაჟი არ მყავს. ამბობენ, რომ შენ ბევრი ვაჟი გყავს. თუ ასეა, ერთი ვაჟი მომეცი, იგი ჩემი ქმარი გახდება. ჩემს მსახურს არასდროს ვიქმრობ! ... მეშინია!“ როდესაც მამაჩემმა ეს ისმინა, მან მოიხმო წარჩინებულები სათათბიროდ (და უთხრა): „ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არ მომხდარა!“ ასე რომ მამაჩემმა გააგზავნა ეგვიპტეში ხათუსა-ციითი, უხუცესი (და უბრძანა): „ნადი და მომიტანე მართალი სიტყვა“ იქნებ ისინი მატყუებენ მე! იქნებ (სინამდვილეში) ჰყავთ თავიანთი ბატონის ვაჟი! მომიტანე მართალი სიტყვა!”

(სანამ) ხათუსა-ციითი ეგვიპტიდან დაბრუნდებოდა, მამაჩემმა ქალაქი ქარგამიში საბოლოოდ დაიპყრო. იგი შვიდი დღე ცდილობდა მის დაპყრობას, მერვე დღეს შეებრძოლა მას და ერთ დღეში [აილო?] იგი სასტიკი ბრძოლით მერვე დღეს, [ერთ] დღეში. ხოლო როდესაც მან აიღო ქალაქი, ვიდრე [მამაჩემი] პატივს მიაგებდა ღვთაებებს, ზემო ციხე-სიმაგრეზე მან არც ერთი ... (ღვთაება) [ქუბაბას(?)] და (ღვთაება) ქალს. და იგი არ მი[კარებია] არც ერთ [ტაძარს]. (პირიქით), მან თავყვანი არ სცა (მათ). და შემდეგ მისცა [...]. ხოლო ქვემო ქალაქიდან მან წამოიყვანა მოსახლეობა, ვერცხლი, ოქრო და ბრინჯაოს ნივთები და წაასხა ქალაქ ხათუსაში. დეპორტირებულების რიცხვი, რომელიც მან სასახლეში მოიყვანა, სამი ათას სამასოცდაათი იყო. [მაშინ, როცა] ისინი, რომლებიც ხე[თებმა] მოიყვანეს (სახლში), [ურიცხვი იყო]. შემდეგ [მან ...] თავისი ვაჟი შარი-ქუშუხი და [მისცა] მას ქარგამიში ქვეყანა [და] ქალაქი [...] და იგი მის მეფედ დასცვა.

ხოლო როდესაც მან გა[ნავა] ქალაქი ქარგამიში, იგი [ნავიდა] უკან ხათის ქვეყანაში და გამოიზამთ[რა] ხათის ქვეყანაში.

ხოლო როდესაც გაზაფხულდა, ხათუსა-ციითი [დაბრუნდა] ეგვიპტიდან და მასთან ერთად ეგვიპტელი შიკრიკი, ხანი. მამაჩემმა ხათუსა-ციითი ეგვიპტეში შემდეგი დავალებით გააგზავნა: „იქნებ მათ თავიანთი ბატონის ვაჟი ჰყავთ! იქნებ ისინი მატყუებენ მე და არ უნდათ ჩემი ვაჟი სამეფოდ!“ ამიტომ ეგვიპტის დედოფალმა ასეთი უსტარი მოსწერა: „რად იტყვი „ისინი მატყუებენ მე“? მე რომ ვაჟი მყოლოდა, განა უცხო ყვეყანას მივწერდი ჩემსა და ჩემი ქვეყნის სირცხვილს? შენ კი არ მენდე და ეს მაკადრე! ვინც ჩემი მეუღლე იყო, გარდაიცვალა. ვაჟი არ მყავს! ჩემს მსახურს არასდროს ვიქმრობ! სხვა ქვეყნისთვის არ მიმიწერია, მარტო შენ მოგწერე! ამბობენ, რომ შენ მრავალი ვაჟი გყავს, ერთ-ერთი მომეცი! ჩემი ქმარი იქნება იგი, ხოლო ეგვიპტის მეფე“. მაშინ, რადგანაც მამაჩემს კეთილი (ჩვილი) გული ჰქონდა, მან შეისმინა დედოფლის თხოვნა და თავისი ვაჟის საქმეს გულისყურით მოეკიდა.

კოლოფონი: მეშვიდე ფირფიტა, (ტიქსტი) დაუმთავრებელია. ჯერ არ შესრულებულა ბრინჯაოს ფირფიტაზე.

(სუფილულიუმა მიმართავს ხანის) [...]. მე [თვითონ] ვიყავი [...] მეგობარი, მაგრამ შენ, უცაბედად მიმუხთლე. შენ [მოხვედი(?)] და შეუტეე ქალაქ ქინცას კაცს („უფლისწულს“), რომელიც მე წავარ[თვი] ხურის ქვეყნის მეფეს. მე, როდესაც (ეს) შეიტყვე, გაგზარაზდი და გაგზავნე ჩემი ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი და სარდლები. ისინი მოვიდნენ და შეუტეეს თქვენს მიწას, ამქას ქვეყანას. ხოლო როდესაც მათ შეუტეეს ამქას ქვეყანას, თქვენ აღბათ შეგეშინდათ და (ამიტომ) თქვენ კვლავ მთხოვეთ ვაჟი (თითქოს) ეს მე მეგვალბოდა. [თ]ქვენ მას მძევლად დაიტოვებთ, მაგრამ არ გა[ამეფ]ებთ.“ [ასე] (მიმართა) ხანამ მამაჩემს: „ჩემო ბატონო! ეს [...] ჩვენი ქვეყნის სირცხვილია! ჩვენ რომ [მეფისწული] გვყოლოდა, უცხო ქვეყნად რად მოვიდოდით და ჩვენი ბატონის რად ვითხოვდით? ნიბხურურია, რომელიც ჩვენი ბატონი იყო, გარდაიცვალა; ვაჟი მას არ ჰყავს. ჩვენი ბატონის მეუღლე დაქვრივდა. ჩვენ ვეძებთ უფლისწულს ეგვიპტის მეფედ და ჩვენი დედოფლის ქმრად! ჩვენ სხვა ქვეყანაში არ წავსულვართ, მხოლოდ აქ მოვედით! ეხლა კი, ჩვენო ბატონო, მოგვეცი შენი ვაჟი!“ მაშინ მამაჩემი ვაჟის საქმეს გულისყურით მოეკიდა და მამაჩემმა მოითხოვა ხელშეკრულების ფირფიტა, (რომელშიც ნათქვამი იყო) უწინ როგორ წაიყვანა ამინდის ღვთაებამ ქალაქ ქურუსთამას ხალხი, ხათის ვაჟები ეგვიპტეში და ეგვიპტელებად აქცია ისინი; და როგორ დადო ამინდის ღვთაებამ ხელშეკრულება ეგვიპტისა და ხათის ქვეყნებს შორის და როგორ მეგობრულად იყვნენ ისინი ერთმანეთის მიმართ განწყობილები. როდესაც მათ ფირფიტა ხმამაღლა წაუკითხეს, მამაჩემმა ასე მიმართა მათ: „ძველად ხეთებისა და ეგვიპტის ქვეყნები ერთმანეთის მეგობრები იყვნენ. დაე ახლაც ისევე იყოს, ხათი და ეგვიპტე ისევე მეგობრებად დარჩებიან!”

(ფირფიტის დასასრული)

კოლოფონი: [X. ფირფიტა] სუფილულიუმას საქმენისა [...].

ფრაგმენტი 28 ა

[...] მან დაამარცხა [...] ხაქფისას ქვეყანაში [...] მან შეუტია ხაქფისას [ქვეყანა ...] მან შეავიწროვა. და ქ. ხაქფისა [...] -ფათხა [და] თაქუფთა დარჩა.

ფრაგმენტი 28 ბ

[და ისე მოხდა, რომ (მამაჩემმა) ხათის ქვეყნის ღვთაებათათვის და ქ. არინას მზის ღვთაებისათვის ანთახშუმის დღესასწაული ჩაატარა], [და ეს] მართლაც მნიშვნელოვანი მოქმედება იყო: მტერი ... [და

მამაჩემმა ხანუთი ქვემო ქვეყანაში [(გაგ)ზავნა და ფეხოსანი] (და) ცხენოსანი ლაშქარი მისცა და როდესაც ხანუთი ქვემო ქვეყანაში მივიდა, როდესაც იგი ლაღანდელებმა [დაინახეს, შეე]შინდათ და მშვიდობა ქმნეს. [და იგი კვლავ ხათის ქვეყანაში იყო და ხანუთი, მარშალი [ხაფალას ქვეყნად წავიდა და ხაფალას ქვეყანა დაამარცხა [და ხაფალას ქვეყანა გადანვა. დეპორტირებული მოსახლეობა, [მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი [ხელ]თ იგდო და ხათუსას ნაპგვარა. [ხოლო მამაჩემმა ... ქვეყანაში ...] გაგზავნა და ფეხოსანი [(და) ცხენოსანი ლაშქარი გატანა] ... მთელი ...

„მეშვიდე ფირფიტის“ მომდევნო ფრაგმენტები

ფრაგმენტი 29

[...] ხათის ქვეყანა [...] .] ერთმანეთს [...] .] და . . [...]ხათის (?) ქვეყანა] და ეგვიპტის ქვეყანა [...] ერთმანეთთან იქნებიან! [...]. და ეგვიპტის ქვეყანას [...] სიცოცხლის [ბოლომ]დე ერთმანეთს [...]

(მომტვრეულია)

ფრაგმენტი 30

[...] მონყდა [...] ...ნახვალ [...] ეგვიპტის ქვეყანაში [...] .] იყო! და ეგვიპტე [...] ხათის ქვეყანას [... .

ფრაგმენტი 31

[...-ც]ი, ქ.-ის მეფე(?). ხ[უ]- ..., [...] -ის კაცი. [რად]გან მათ არ გააგზავნეს [...], მაშინ ფირ[ფიტა ...] მათ [...] და მათ [...] ერთმანეთს. [როდესაც] მათ მოიტანეს ფირფიტა, ასე თქვეს: [„ეგვიპტის(?) ხალხმა] მოკლა [ცანანცა] და სიტყვა მოიტანა: „ცანანცა [გარდაიცვალა(?)!“ და როდესაც] მამაჩემმა გაიგონა] ცანანცას სიკვდილის ამბავი, იგი გოდებდა [ცანანცას, [და] ღვთაებებს ...]სე მიმართა: „ღვთაებებო! მე ბორო[ტი არ] ჩამიდენია, [მაგრამ] ეგვიპტის] ხალხმა [ჩემს მიმართ] ჩაიდინეს იგი, და მათ აგრეთვე [შეუტყეს] ჩემი ქვეყნის საზღვარს!“ [...] გაიგონა [...]

ფრაგმენტი 32

[... .] იგი [...] ეგვიპტის(?) ქვეყანაში [...] .] მე [...] .], მაგრამ არ [...] ხელშეკრულება, კაცმა (ქალაქ) [...] -დან] დადო [...] ვილაცამ [...] ბოროტი [...]

ფრაგმენტი 33

[...ქა]სქ(ებ)ს არ შემიწებიათი]სინი შეავინროვეს. (ფირფიტის დასასრული).

ფრაგმენტი 34

[...] სანამ [...]და ღვთაებები დაეხმარენ მამაჩემს]: ქალაქ არი[ნას] მზის ქალღვთაება, [ხათის ქვეყნის ტაროსის ღვთაება, ლაშქრის ამინდის ღვთაება და ბრძოლის ველის ქალღმერთი იშთარი, (ისე, რომ] მან დაამარცხა მტერი. [...] .]მან გადანვა [ქალაქები] ...] და [ქალაქი ფალ]ხუსა [...] .] და [ის]ეგ [გაემართა] [ქალაქ] ქამა[მასკენ და] დაწ[ვა] ქალაქი [ქა]მამა.

[როდესაც მამაჩემმა] გადანვა [ეს] ქვეყნები, იგი გაემართა [აქედან] იშთახარას ქვეყანაში. [ქალაქ იშთახარადან] იგი გაემართა [ქალაქ] ხათენაში, [და] ავიდა [მთა ...]-სიზე და წავიდა [...] -ის ქვეყანასა და ქვეყანა] თესითას. [აქედან] იგი გაემართა [ქალაქ] თუხფილიშაში [და ალად]გინა [იგი]. შემდგომ, რადგანაც მამაჩემი იქ იმყოფებოდა, ციდა[ფარხას ხალხმა] (მას) სიტყვა მოუტანეს: „ ბატონო, წადი [...] .], მაგრამ არ [მოხვიდე] ციდაფარხას ქვეყანაში, [რადგან] ჩვენ არ უნდა დავიხიოთ მტრის წინაშე!“ [მაგრამ მამაჩემმა ას]ე მიუგო: [მე რომ აქედან] წავსულიყავი [მთა ...]-მითაზე, [მაშინ მე] გზიდან გადავუხვევდი!“ და იგი გაემართა] იქიდან და გასწია თ[იქუქუვას] ქვეყნისაკენ. [და მან] ღამე გაათია ქალაქ თიქუქუვაში. [იქიდან იგი (წავიდა და)] ღამე გაათია ქალაქ ხურნაში [და] გადანვა [ხურნას ქვეყანა. იქიდან იგი ავიდა მთ]ა თიხსინაზე და გადანვა ქვეყანა ხაური[... და წამოვიდა] მარა[სანთას] მდინარისკენ. [შემდეგ იგი წავიდა და]რითას ქვეყანაში. [და რადგან იქ მშვიდობა(?) იყო, არ დაუნგრევია(?)] დართი[რას] ქვეყანა. მაგრამ [ფითაქ]ათალიმ შეაგროვა [...] (ქალაქ) სა[ფიდუვანა(?) ...] და იგი [გამოვიდა(?) მამაჩემის(?) წინააღმდეგ]. მაგრამ როდესაც მამაჩემმა [დაინახა(?)]ი[გი(?)], აქ დალოდებია (მას), არამედ [...].

მამაჩემი [გაემართა] იმ ადგილიდან და ავიდა] მთა ილურიაზე და ღამე გაათია (ქალაქ) ვასხაიაში. და მან გადანვა ქვეყანა ცინა[... .]. იქიდან იგი (წავიდა და) ღამე გაათია (ქალაქ) გა[...ქილუსაში] და გადანვა გა. . ქილუსასა და დარუქას ქვეყნები. იქიდან იგი (გაემართა და) ღამე გაათია (ქალაქ) ხინარივანდაში და გადანვა ხინარივანდასა და ივთალისას ქვეყნები. იქიდან იგი (გაემართა და) ღამე გაათია (ქალაქ) საფისუვაში და გადანვა საფიდუვას ქვეყანა.

როდესაც მან ყველა ეს ქვეყანა გადანვა, მამაჩემი გაემართა თუმანას ქვეყანაში. [ქალაქ თუმა]ნადან იგი ავიდა მთა ქასუზე და გადანვა [...] .]ნაგარას ქვეყანა. ხოლო მდინარე დახარას ქვეყანამ, [რომელიც] მან [დაიპყრო, კიდევ ერთხელ უჩვენეს მტრობა. [ასე, რომ] იგი გაემართა მდინარე დახარას (ქვეყანაში) და გადანვა ქალაქი დახარა და [თა]ფაფინუვას ქვეყანა. შემდეგ იგი უკან დაბრუნდა (ქალაქ) [თი]მუხალაში. ქალაქი თიმუხალა იყო ქასქების გამორჩეული ადგილი. მას [უნდა] დაენგრია იგი, მაგრამ მათ შეეშინდათ [და] ეახლენენ [მას] და მუხლებში ჩაუვარდნენ; ამიტომაც მან კი არ დაანგრია იგი, [არამედ იგი ხეთის] ქვეყანას შეუერთა. [იქიდან იგი გაემართა] და [წავიდა] (ქალაქ) [...] და იქიდან იგი გაემართა ქალაქ ...

ფრაგმენტი 35

...მეფე [...]და ღვთაებები დაეხმარენ მამაჩემს]: ქალაქ არი[ნას] მზის ქალღვთაება, [ხათის ამინდის ღვთაება, ლაშქრის ამინდის ღვთაება და ბრძოლის ველის ამინდის ღვთაება], (ისე, რომ) [ფეხოსან და ეტლოსან ლაშქართან] ერთად [...] .] და [...] -ს] ქილ[ი-თეშუბ(?) ...]. მაგრამ [...] ...” შემდეგ იგი გაემართა] ხ[არან]ის ქვეყანაში [და გადანვა იგი]. და ქალაქ ხარანიდან იგი გაემართა [(ქალაქ) ვაშუქანაში] და [გადანვა] ქვეყანა ვა[შუქანა]. და ქალაქ ვაშუქანა[დან იგი გაემართა ქ...-ში]. ხოლო შემდეგ ასურელებმა [შეიტყვეს, რომ ქარგამიმის მეფე მოვიდა], იგი [გაემართა ასურეთის(?)] ფეხოსან და ეტლოსან ლაშქართან ერთად] (ქალაქ) თათიაში და [მოვდა] საშველად შუთარნასი [...] .]. ხოლო როდესაც ქარგამიმის მეფემ [...] ქალაქი ვაშუქანა ...

ფრაგმენტი 36

...რადგან [...] მა[მაჩემს, მან გაგზავნა] ჩემი ძმა [არნუვანდა [და იგი] წავიდა ეგვიპტეში...] ეტლოსანი [...]
უბრძანა

ფრაგმენტი 37

[„... სიძე(?) [...] მათ მოკლეს [...]ჩემო [ბატონო], ამის გამო [...] მე [...]ჩემო [ბატონო, ამის გამო [...] განსაჯე!“] [როდესაც ...] მამაჩემმა [...] პირის სიტყვა [...] .] ცაში ღრუბელი არ [...] წვიმდა [...] პატარა [...] დაიჭეჭა მრისხანედ [...] ხათის [ქვეყანაში არასდროს არ წვიმდა], მაგრამ [...] -ში] წვიმდა. [...] მისი ჭეჭა-ქუხილი [...] და მამაჩემმა დაამარცხა მტერი, [(ისე, რომ) მტრის ლაშქარი] დიდი [რაოდენობით დაიხოცა. ხოლო ტყვეები] [...] მათ მიჰყავდათ სამი დღე. ხოლო ნადავლი(?), რომელიც [...] -ში ... [...] მათ წაგვარეს[... -ში] მან ააშენა. ხოლო როდესაც მან დაამარცხა [...], მამაჩემმა [უთხრა [...] -ს]: „ჩემი [...] ცხენოსნები [...] ისა...“

კოლოფონი: [მე-X ფირფიტა სუფილულოუმას] საქმენისა. (ტექსტი) დაუსრულებელია.

ფრაგმენტი 38

[„...სა]ნამ [...] მე [...]იქ[ცა(ქალაქ/ქვეყანა) ხუსურაში [...]. მაგრამ ხუსურას ხალხმა [...] ...[...მიმტრო მე [...]] მათ დამშორდნენ. [...] მითანის ქვეყანაში [...] და ქალაქი ცარიელი [...] და [...] , და დაიწყო [...] ხათის ქვეყანას.

[...(ქალაქ)] ირითაში მდინარის მხარეს [...] .] და ჩემი [ძმა (?) მასთან ერთად იყო. [...] .] და [მათ მოუტანეს] სიტყვა: [„... .] ირითას კაცი [...]და ქალაქ ხურის ცხენოსნები [...] მას [...] ეპყრა [...] -ითას [ქვეყანა]“. და ქალაქ ხურის ცხენოსნები უფრო მეტნი იყვნენ [მათზე, მაგრამ] ღვთაებანი დაეხმარენ ...

ფრაგმენტი 39

[...] არ [...] (ქალაქი) ...ფაქულა [...]უფლისწული [...] -ფა]ქულადან ქვემოთ [...] ქვეყანა ხაიასა [...] წარჩინებულებმა მოიტანეს [...] იყვნენ [...] „ხათის მეფევე, ჩემო ბატონო! [...] .“] და ხაიას[ას] ქვეყანა [...], რომლებმაც [...] მოიტანეს [...] ათ]ასასორმოცი [+ ...] შორს [...

ფრაგმენტი 40

... [...] ხაიას]სელი [მტერი] მან დაამარცხა [...] ხაიას]სელი [მტერი დაილუპა] დიდი რაოდენობით. [...] ხაიასს ქვეყანა [...] ზემო ქვეყანაში (ქალაქ) [...

ფრაგმენტი 41

[„... ხათის] ქვეყანა [...] ქვეყნები, რომ[ლებიც ...] ძალიან [...] წადით [(ქალაქ)] ირითაში [...] უკან (?) (ქალაქ) ქარგამიში [...]“] და (ქალაქ) ითუვაში [...]. და ქვეყანა ქარგამიში [...] მან დაიპყრო და იგი [...] ქარგამიში [...] ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [...]

ფრაგმენტი 42

[... (ქალაქი) [...]. ხოლო [რო]დესაც მათ ... მან [...] და მათ [...] ფეხოსანი [და ეტლოსანი] ლაშქარი [...] გარს შემოერთესა [...] .] [(ქალაქ) ... -დან იგი წავიდა] (ქალაქ) ირითეში [...] იგი მოვიდა [ქ. ვაშუ]ქანადან(?) [...] ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [...] მოდის ...

ფრაგმენტი 43

[...] (ქალაქი) [...] შორს (ქალაქ) [...] -დან. მაგრამ [ქვეყანა ისხუფ]ითადან(?) [...] დაანგრია ქალაქი [...] იგი [გაე]შურა, მაგრამ (ქალაქი) ქასიფახა [...] გაეშურა [საბრძოლ]ველად და მტერი [...] ბრძოლა ... [...] მაშინ ღვთაებები დაეხმარენ მამაჩემს: ქარიწას მზის ქალღვთაება, ხათის ამინდის ღვთაება, ლაშქრის ამინდის ღვთაება, [საბრძოლო ველის იშთარი, (ისე, რომ) მან] დაამარცხა ...და მტრის ლაშქარი დიდი რაოდენობით დაიხოცა. და [...

ცალკე მდგომი და საეჭვო ფრაგმენტები

ფრაგმენტი 44

...ბაბუაჩემმა [...] (ისინი), რომლებიც [...] “ ...] და მან მე [...]“. როდესაც [...] გაიგონეს, [თქვეს: „ ...] და ვინც [...] -ში] , მაგრამ ვინც [...] -ში], მაგრამ ვინც [...] -ში], მაგრამ ვინც [...] -ში] გააგზავნა შემდეგ [...] ისინი] არ მის[ცემენ(?) ...] მოსახლეობა [...] ისინი] წაიღებენ(?) [...

ფრაგმენტი 45

...ვისაც [...]]წარ[თვა [...] მის ქვეყანაში [...] და მტერი [...]. მაგრამ მამაჩემმა აიღო [...] და [...] .] და ღვთაებები [დაეხმარენ] მას [...]] (ისე, რომ) [მან დაამარცხა] მტერი და მტრის ლაშქარი დაიხოცა] დიდი რაოდენობით [...] .] (ქალაქ) ა[... -ში

კოლოფონი: [მე-X ფირფიტა, (ტექსტი) დაუსრულებელია(?), სუფილულოუმას] საქმენისა.

ფრაგმენტი 46

...როდესაც [...] მამაჩემმა გაიგონა [...] .] და მას [...]] გაეშურა [...] შეხვდა [...] -ში] გაეშურა [...]] მოვიდა [...] .] როდესაც [...] მსხვილფეხა საქონელი(?) [...

ფრაგმენტი 47

[...] ლაშქარი [...]] მამაჩემს [...] მტრის ოთხმოცდაათი კაცი კვლავ [...] მამაჩემი ლაშქარს [...] და ცხენების] ერთი რაზმით [...] მამაჩემმა [...] -ში] მტერი [...] -ში

ფრაგმენტი 48

[„...] და შეხედე! [...]“] ქვემოთ [...] -დამ დასაფეჟავად [...] წითელ მდინარესთან (|| მარასანთია) [...] წაი[ღო(?) ...] წვრილფეხა საქონელი [...] დაამარცხა] ყველა [მტერი (ისე, რომ) მტრის ლაშქარი] დაიხოცა დიდი [რაო]დენობით. [...] .] და მას [...

ფრაგმენტი 49

[...] მამაჩემმა [...] ლაშქარი [...] ...] ათასი თავი მსხვილფეხა საქონელი [...]. შემდეგ იგი [წავიდა] კვლავ [...] -ში] (ქალაქი) ვაცია [...] და] მას [...] და] მას [...

ფრაგმენტი 50

[...მათ] უნდა დაიფიცონ [...] უკან დაბრუნდება.

[...რაც [ქვე]ყანა ნერიქი [...] მუვათალის დროს, მეფეს [ჩემმა] ძმამ(?)...“ [...] მაგრამ [...] ქა]სქა [...] მე მოვალ [...]მსურს. ხოლო მე მოვალ [...]გავეშურები! [...] შევებრძოლოთ ერთმანეთს!” ხოლო [როდესაც] იგი მივიდა [..., მან] ფეხოსანი და [ცხენოსანი] ლაშქრის [დათვალიერება მოახდინა]. შემდეგ მან გზა განაგრძო იმავე დღეს [...]. ხოლო მტერი მოვიდა მთელი ძალით [...] ხოლო როდესაც გათენდა და მზე ამოვიდა, იგი გაეშურა [...] საბრძოლველად [და] ებრძოლა [...] ხოლო ღვთაებანი [დაეხმარენ] მამაჩემს: [ქალაქ არინას მზის ქალღმერთ]თაება, ხათის ამინდის ღვთაება, ლაშქრის ამინდის ღვთაება, [(X ღვთაება, X ღვთაება)], საბრძოლო ველის იშთარი და ზაბაბა, [(ასე, რომ) მტრის ჯარი] დიდი რაოდენობით დაიღუპა.

[იქიდან მამაჩემი] გაეშურა [ქვეყანა-ში] და გადაწვა ფიგაინარესას ქვეყანა, [(ქალაქი)] და [(ქალაქი) ქათითი]მუვა. [...] მან დაიწყო გამაგრება. [...] და მამაჩემს ამცნო: [„ ...], მან [...] და ჩვენ [...]. ახლა მოვედით [...] არავითარ შემთხვევაში [...]“. მამაჩემმა [...] მას [...] მსგავსად [...] დიდი რაოდენობით. [...]

ფრაგმენტი 51

[...] მე [...]. [...] „ ... ქა]სქა [...] და მან [...] ქასქების ქვეყნად [და] დაიწყო მართვა [...] მათი ქვეყანა და დაიწყო [...]. და [იგი გაეშურა] არივასუს წინააღმდეგ საბრძოლველად და არივასუმ გამოსწია მისკენ საბრძოლველად. მან დაამარცხა [ფეხოსანი და ცხენოსანი] ლაშქარი და შეიპყრო არივასუ [...] და თავი მოაჭრა.

[...] და იგი კვლავ ხეთის ქვეყნის (ნაწილად) ქმნა. შემდგომ [...] დაიკავა (ადგილი) მამაჩემთან ერთად. [...ხელ]შეკრულება დადეს და [დაიწყო] მისთვის ლაშქრის მიწოდება...] მისი ლაშქარი მე, მეფემ [...] ...] მქონდა ადრე [...].

[...]-ს ლაშქართან ერთად ხათის ქვეყანაში [...] (მათ) დაიკავეს, მაგრამ კვლავ მთელი ძალით [...] მოვიდა ლაშქარი და დაიკავა [...] ხათი მთელი ძალით.

[...] და მუვათალი, მარშალი [...] და არ [...] მას [...]